

ბატონო ნიკოლოზ,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარმოგიდგინებ ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ (ს/კ 404968852) სასამართლო მეგობრის მოსაზრებას N010201119801 საქმეზე ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ.

სასამართლო მეგობრის მოსაზრება შეეხება კანონის უკუმაღლის აკრძალვის პრინციპის მნიშვნელობას სისხლის სამართალში. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ხანდაზმულობის ვადების პირის საუარესოდ რეტროაქტიულად გამოყენების დაუშვებლობაზე, რომელიც სსკ-ს 105-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლებრივი დევნის, ხოლო სსკ-ს 71-ე მუხლის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი აქტუალურია თქვენს წინაშე განსახილველ საქმეში, რამეთუ ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდების მხარე ედავება 2004 წლის 24 ნოემბერს მომხდარ ფაქტზე და იგი ბრალდებულია სსკ-ს 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო 10 წელი (სსკ-ს 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 2004 წლის 24 ნოემბერს მოქმედი რედაქცია), ხოლო 2006 წლის 25 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით, ამ დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრა 15 წელი (სსკ-ს 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი სწორედ ამ გაზრდილი ხანდაზმულობის ვადის პერიოდში, 2019 წლის 19 ნოემბერს წარედგინა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო დგას მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის წინაშე - დაადგინოს ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია სისხლის სამართლის კოდექსთან (განსაკუთრებით მის მე-2 მდა მე-3 მუხლებთან) და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ არა 2004 წლის 24 ნოემბერს მოქმედი კანონის, არამედ 2006 წლის 25 ივლისის კანონის გამოყენება და ამდენად გახანგრძლივებული ხანდაზმულობის ვადის პირობებში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში გამოკვლეულია ერთი მხრივ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაცული სფერო და მისი მოქმედების ფარგლები, მეორე მხრივ კი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი. ამავდროულად, დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელიც სწორედ სსკ-ს მე-3 მუხლის მეორე წინადადების კონსტიტუციურობის საკითხს ეხებოდა.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილ დოკუმენტში განვითარებული მსჯელობები გაზიარებული იქნება სასამართლოს მიერ და იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება მას საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

თქვენი სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარვადგინოთ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზეც.

პატივისცემით,

მარინე კაპანაძე

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორი

**სასამართლო მეგობრის მოსაზრება N01020111980 საქმეზე ბრალდებულ ირაკლი
ოქრუაშვილის წინააღმდეგ**

1. უკუძალის აკრძალვის პრინციპის მნიშვნელობა სამართალში

(საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტზე მსჯელობისას გამოყენებული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში (რომელიც იდენტური შინაარსის ნორმაა)).

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ აღნიშნული ჩანაწერი აერთიანებს სამართალში საყოველთაოდ აღიარებულ რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს, მათ შორის კანონიერების პრინციპს, კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპს და პრინციპს „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“. აღნიშნული პრინციპები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და უზრუნველყოფენ ერთი მხრივ სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის არსებობას/დაცვას, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს აცლიან თვითნებურად მოქმედების შესაძლებლობას, რამეთუ ბოჭავენ მას კანონების მიღებისა და მათი გამოყენების პროცესში, როდესაც საქმე პასუხისმგებლობით სამართალს ეხება. “უკუძალის აკრძალვით კონსტიტუცია იძლევა იმის გარანტიას, რომ სამართლის სუბიექტები დაცული იქნენ კანონთა მოქმედების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან. ვინაიდან ნებისმიერი კანონი საზოგადოების ცხოვრების უშუალო პროდუქტია. არ არის გამორიცხული, რომ ახალი კანონი, მის წინამორბედთან შედარებით, აუარესებდეს სუბიექტის მდგომარეობას“. ¹ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, “კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის წინადადებები ორგანულ ერთიანობას ქმნის და უზრუნველყოფს, რომ სამართალდარღვევა, რომელიც პასუხისმგებლობის საფუძველია და თავად პასუხისმგებლობა ამ სამართალდარღვევის გამო, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობა, იქნება იმგვარი, როგორც ამას განსაზღვრავდა სამართალდარღვევის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა. ამ აბსოლუტური კონსტიტუციური მოთხოვნიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი - 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვის სფეროში კანონმდებელს შეუძლია, მიანიჭოს კანონს უკუძალა, თუ ის გააუქმებს სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედი კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ან შეამსუბუქებს მას.“²

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

² იქვე

გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში მოუწია განემარტა აღნიშნული კონსტიტუციური დებულების (31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინადადების) შინაარსი. სასამართლომ აღნიშნა:

„ტერმინი „პასუხისმგებლობა“ უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გაუქმებას, აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სამართალდარღვევათა კატალოგიდან ამორიცხვა. შესაბამისად, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება იქნება ამ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება. პასუხისმგებლობა, ასეთი შეფასების პირობებში უქმდება ან დგინდება როგორც ნორმატიული კატეგორია. ამასთან ერთად, პასუხისმგებლობის გაუქმებას ან დაწესებას კონკრეტულ პირთან მიმართებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა იგი არსებობას განაგრძობს, როგორც ნორმატიული სინამდვილე. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ქმედების დასჯადობა საერთოდ არ გაუქმებულა, მაგრამ გაუქმებულია კონკრეტული ქმედების დასჯადობა კონკრეტული სუბიექტის მიმართ. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გაუქმება ან დაწესება უნდა შეფასდეს 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში. კონსტიტუციის ეს ნორმა იძლევა გარანტიებს იმ შემთხვევაშიც, როცა ხდება პასუხისმგებლობის დამძიმება. ამდენად, პასუხისმგებლობა, როგორც სამართლის ობიექტური კატეგორია და ნორმატიული სინამდვილე, დაკავშირებულია ქმედებასთან საზოგადოდ. ხოლო პასუხისმგებლობა, როგორც კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა, როგორც სუბიექტური კატეგორია, იმავდროულად დაკავშირებულია კონკრეტულ ქმედებასთან. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში იგულისხმება ორივე შემთხვევა.“³

2. უკუძალის აკრძალვის პრინციპის მოქმედების ფარგლები საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით

აღნიშვნის ღირსია ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს ერთი მხრივ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტს და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლს და მეორე მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლს შორის.

ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.“

³ იქვე II.3.5

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც მოქმედების ან დაუდევრობის შედეგად, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. ასევე დაუშვებელია უფრო მძიმე სასჯელის დაკისრება, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილი უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზეც.“

ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“

სამივე დოკუმენტი უსვამს ხაზს უკუძალის აკრძალვაზე. კერძოდ, განსაზღვრავს რომ უფრო მძიმე პასუხისმგებლობის/სასჯელის დაკისრება რეტროაქტიულად დაუშვებელია. თუმცა საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო პაქტი დამატებით ყურადღებას ამახვილებს ასევე რეტროაქტიულად მსუბუქი კანონის გამოყენების დასაშვებობაზე, რითაც ფაქტობრივად შემოსაზღვრავს უკუძალის გავრცელების შესაძლებლობის ფარგლებს, ხოლო მის მიღმა (ანუ აკრძალვის სფეროში) ტოვებს ნებისმიერ სხვა შემთხვევას.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზეც, რომ საქართველოს კონსტიტუცია, განსხვავებით საერთაშორისო დოკუმენტებისგან, იყენებს არა ტერმინ „სასჯელს“, არამედ „პასუხისმგებლობას“, რაც ერთმნიშვნელოვნად აფართოებს იმ საკითხთა წრეს, რომელსაც უკუძალის აკრძალვის პრინციპი ფარავს. აღნიშნულ განმარტებას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელმაც ხანდაზმულობის ვადებთან, ისევე როგორც პირობით მსჯავრთან დაკავშირებული საკითხები მოაქცია ამ კონსტიტუციური ტერმინის („პასუხისმგებლობის“) ქვეშ და ამდენად მათზეც გაავრცელა (ნამდვილი) უკუძალის აკრძალვის პრინციპი.

3. სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი უკუძალის აკრძალვის ფარგლები

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.“ ამასთან მნიშვნელოვანია ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წელს განსახილველი საქმე შეეხებოდა სწორედ სსკ-ს მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების კონსტიტუციურობას. მოსარჩელეთა აზრით აღნიშნული სისხლის სამართლის ნორმა ავიწროებდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი უკუძალის აკრძალვის პრინციპის არეალს, რამეთუ განსხვავებით კონსტიტუციისგან (სადაც გამოყენებულია სიტყვა „პასუხისმგებლობა“), კოდექსის ნორმა კრძალავდა მხოლოდ ქმედების დანაშაულებრიობისა და სასჯელის დამწესებელი ნორმების რეტროაქტიულად გამოყენებას და ამით გამორიცხავდა დაცული სფეროდან პირობითი მსჯავრისა და ხანდაზმულობის საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. თუმცა მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი (და გადაწყვეტილებასთან თანდართული მოსამართლეთა განსხვავებული აზრები), საიდანაც იკვეთება, რომ სასამართლომ დაინახა სადავო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისად განმარტების რესურსი და ხაზი გაუსვა იმას, რომ სამართალმემფარდებელს (საერთო სასამართლოებს) სწორედ ამ განმარტების გზით უნდა ესარგებლა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა შორის ამ გადაწყვეტილების რიგ ასპექტებზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, გადაწყვეტილებიდან ჩანს რომ ოთხივე მოსამართლე თანხმდება ერთ რამეზე: სისხლის სამართალში უკუძალის აკრძალვის პრინციპი უნდა გავრცელდეს ისეთივე მასშტაბით, რასაც საქართველოს კონსტიტუცია აწესებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დამკისრებელ ნორმებთან მიმართებაში უკუძალის აკრძალვის პრინციპი მათ შორის მოიცავს (ან უნდა მოიცავდეს) ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის საკითხებსაც. „სადავო ნორმის მეორე წინადადებაში არსებულ გამოთქმაში „აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას“, ფართო განმარტებით შეიძლება მოვიაზროთ ახალი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება იმ ურთიერთობაზე, რომლის მიმართაც გასული იყო ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“⁴ - აღნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელები დაობდნენ სწორედ იმას, რომ საერთო სასამართლოებმა მათ მიმართ სადავო ნორმა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ განმარტეს და ამდენად მასში არ მოაქციეს ხანდაზმულობის ვადებთან და პირობით მსჯავრთან დაკავშირებული საკითხების უკუძალით გავრცელების აკრძალვა. თუმცა როგორც აღინიშნა, დაინახა რა სასამართლომ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისად განმარტების შესაძლებლობა (ანუ ის რომ მასში მოაზრებულიყო უკუძალის აკრძალვა გაზრდილ ხანდაზმულობის ვადებზე და პირობითი მსჯავრის შეცვლაზე), მან საერჩელი არ დააკმაყოფილა. თუმცა თავისი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით მოუწოდა საერთო სასამართლოებს, გაეთვალისწინებინათ სადავო ნორმის სწორედ ამგვარი, კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაცია.

აღნიშნულ მიდგომას არ დაეთანხმა სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, ქეთევან ერემამე, რომელმაც მიიჩნია, რომ სასამართლოს ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა ეცნო მისი

⁴ იქვე, II.3.24

ბუნდოვანების, არაერთმნიშვნელოვნად განმარტების გამო. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ 2009 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. სასამართლომ განავითარა ეგრეთწოდებული ნორმის მისი ნორმატიული შინაარსით შეფასების პრაქტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება არაკონსტიტუციურად ცნოს არა მთლიანად ნორმა, არამედ მისი მხოლოდ ერთი განმარტების გზა (მისი ცალკეული შინაარსი), რომელიც არაკონსტიტუციურად მიაჩნია.

საქმეში „სს ლიბერთი ბანკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა: „სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.“⁵

აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, სასამართლოს 2009 წლის ნაცვლად დღეს რომ შეეფასებინა სსკ-ს მე-3 მუხლის მეორე წინადადების კონსტიტუციურობის საკითხი, იგი ერთმნიშვნელოვნად არაკონსტიტუციურად ცნობდა საერთო სასამართლოების მიერ მანამდე ამ ნორმისთვის მიცემულ იმ შინაარსს, რომლის თანახმადაც, ისინი არ ავრცელებდნენ ხანდაზმულობის ვადების გაზრდასა და პირობითი მსჯავრის შეცვლასთან მიმართებაში უკუძალის აკრძალვის პრინციპის და ამდენად ნორმას პირის საუარესოდ განმარტავდნენ.

აქედან გამომდინარე, თქვენს წინაშე განსახილველი საქმის შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს, არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, ასევე სასამართლოს მოტივაციაზეც და თანდართულ განსხვავებულ აზრებზე. ამასთან ყურადღება მიაქციოს სასამართლოს მიმდინარე პრაქტიკას ნორმების ნორმატიული შინაარსით (იმ შინაარსით, რომლითაც ნორმას სამართალშემფარდებელი, სასამართლო იყენებს) არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობაზე.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ნამდვილ და არანამდვილ უკუძალას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით და ხანდაზმულობის ვადების სამართლებრივი ბუნება

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.16

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ კანონთა ნამდვილი უკუძალა და კანონთა არანამდვილი უკუძალა.... **ნამდვილი უკუძალა** გულისხმობს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა და განხორციელდა ახალი კანონის ამოქმედებამდე და იწვევს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების შეცვლას. კანონის ასეთი უკუძალა, ესაა კლასიკური, ინსტიტუციური ხასიათის უკუძალა, რაც, როგორც წესი, აკრძალულია და დაშვებულია გამონაკლისი სახით, როცა ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფლების სუბიექტს.... **კანონის არანამდვილი უკუძალა** ნიშნავს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც.... კანონის არანამდვილი უკუძალა არ იწვევს ახალი კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილი და დასრულებული სამართლებრივი შედეგების შეცვლას.“⁶

აღნიშნული საკითხი ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებაში ნიშნავს იმას, რომ „ახალი კანონის რეტროაქტიულობა იკრძალება, მაშინ როცა ამოწურულია ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები“, ხოლო „როცა კანონმდებელი ისე ზრდის ხანდაზმულობის ვადებს, როდესაც ჯერ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობა, ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის დარღვევად.“⁷

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობა ეხმიანება სამართლის თეორიაში გავრცელებულ ერთ-ერთ და არაერთადერთ მიდგომას ხანდაზმულობის ვადების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში სსკ-ს მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების კონსტიტუციურობაზე ვკითხულობთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლის თეორიაში აზრთა სხვადასხვაობაა⁸:

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანდაზმულობის ვადები მატერიალური სამართლის ნაწილია. მათი აზრით, იგი არის დანაშაულისგან გათავისუფლების საფუძველი, რომელიც თავისმხრივ მატერიალურ სისხლის სამართალს განეკუთვნება. ამასთან, ხანდაზმულობის ვადები წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პროცედურების დაწყების საფუძველს, თუმცა ამავდროულად იგი იმთავითვე (ex nunc) გამორიცხავს დანაშაულის

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.6

⁷ იქვე 3.24-25

⁸ CDL-AD(2009)012-e, Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Georgia on the Retroactivity of Statutes of Limitation and the Retroactive Prevention of the Application of a conditional sentence adopted by the Venice Commission at its 78th Plenary Session (Venice, 13-14 March 2009) სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ აქ [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2009\)012-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2009)012-e)

უმართებულობას/უკანონობას. მეტიც, ისინი საეჭვოდ მიიჩნევენ დროის გასვლასთან ერთად სასჯელის მიზნების (როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და პრევენცია) მიღწევას. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის გასვლით ბრალდებული პირის დასჯის საჭიროება აღარ დგას. დროის გასვლა დანაშაულის უმართებულობას ფაქტობრივად აქრობს. სწორედ ამიტომ ხანდაზმულობის ვადები განეკუთვნება მატერიალურ სამართალს და ამდენად მისი რეტროაქტიულად გამოყენება არღვევს კანონიერების პრინციპს.⁹

ამრიგად, ამ თეორიის მიმდევრებისათვის ახალი, უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება პირის მიმართ ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია (მათ შორის მაშინ, როდესაც ახალი ხანდაზმულობის ვადის დადგენა წინას ამოწურვამდე ხდება). აღნიშნული მიდგომის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპზე, რომელმაც არ უნდა შეცვალოს წესები, რათა გავლენა მოახდინოს იმ ვითარებაზე, რომელიც უკვე განხორციელდა და ამდენად გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა. მათი მოსაზრებით სხვა შემთხვევაში შეიქმნებოდა სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკური მანიპულაციებისათვის გამოყენების წინაპირობა. კანონმდებელი ვალდებულია პატივი სცემს მიერ მიერვე მიღებულ კანონს და არ შეუძლია სისხლის სამართლის სფეროში ახალი კანონების გამოცემით გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა.

დამატებით ხაზგასმულია ისიც, რომ ახალი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება გაიგივდებოდა სამართლის იმ ნორმის რეტროაქტიულ გამოყენებასთან, რომელიც უნდა მიიჩნეოდეს „სისხლის სამართლად“ სულ მცირე ფუნქციური (მატერიალური) გაგებით, ვინაიდან სასჯელის დაკისრება -არ დაკისრების საკითხი სისხლის სამართლის დანაშაულის [განსაზღვრის] ანალოგიურია.

თეორეტიკოსთა მეორე ნაწილი ხანდაზმულობის ვადებს პროცედურული სამართლის ნაწილად განიხილავს. ისინი ეყრდნობიან იმ პრინციპს, რომ უკუძალის აკრძალვის მიზანია პიროვნებამ, რომელიც განიზრახავს ქმედების ჩადენას, უნდა იცოდეს ქმედება მისი ჩადენის დროს კრიმინალიზირებული არის თუ არა. თუმცა იგივე ლოგიკა ვერ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადებზე. პირმა, რომელიც სჩადის დანაშაულს, არ შეიძლება იცოდეს მოხდება თუ არა მისი სისხლის სამართლებრივი დევნა ან დაკავება ხანდაზმულობის ვადის პერიოდში. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის მიზანი არ არის დამნაშავისათვის რაიმე უპირატესობის/ბენეფიტის მინიჭება, არამედ ეს არის მზარდი არაპრაქტიკულობის აღიარება სამართლიანი სასამართლოს უფლების ქონასთან დაკავშირებით, როდესაც ხდება მახსოვრობის შემცირება, მტკიცებულებების დაკარგვა, მოწმეთა გარდაცვალება ან მათი ჩვენებების სანდოობის შესუსტება.

⁹ Ruth A. Kok, *Statutory Limitations in International Law*, T.M.C. Asser Press, the Hague, 2007, especially Chapter VII, *Imprescriptibility and Retroactivity*, for a very full description of the subject.)

ამ შეხედულების მიმდევართა მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ გამოდის, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა ნიშნავს იმას, რომ დანაშაული აღარ არის უნარიანი, მის წინააღმდეგ მოხდეს სისხლის სამართლებრივი დევნა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩადენილი ქმედება აღარ ითვლება დანაშაულად. ამ შეხედულების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადების გაგრძელება დასაშვებია მაშინაც, როდესაც წინა კანონით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა.

არსებობს კიდევ ერთი, „შერეული“ მიდგომა, რომელთა მიმდევრებიც მართალია ხანდაზმულობის ვადებს პროცედურული სამართლის ნაწილად განიხილავენ, თუმცა ამტკიცებენ, რომ თუკი ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა, ახალი კანონით მისი გაგრძელება დაუშვებელია და ეს დაარღვევს კანონიერების პრინციპს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი განმარტება (ნამდვილ და არანამდვილ უკუძალას შორის განსხვავების დადგენა) სწორედ ამ მესამე შეხედულებას დააფუძნა.

თუმცა აღნიშვნის ღირსია ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ვახტანგ გვარამიას განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უთითებს, რომ პირის საზიანოდ ხანდაზმულობის ვადების მოძწესრიგებელი კანონისათვის უკუძალის მიცემა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც, როცა ჯერ კიდევ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. მისი აზრით, ამგვარი მიდგომის გაუზიარებლობა დააზიანებს არამხოლოდ კონკრეტული პირის უფლებებს, არამედ სამართლებრივ უსაფრთხოებასაც. „კერძოდ, ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირის სისხლის სამართლებრივი „დევნის უკვდავება“. თუკი მოვახდენდით მართლმსაჯულების ინტერესების იდეალიზაციას, კანონმდებელს მაშინაც ექნებოდა უფლება, კანონისათვის მიეცა უკუძალა, როცა გასულია ძველი კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. განსხვავება ხანდაზმულობის გამოვლინების აღნიშნულ შემთხვევას შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში პირს უკვე მოპოვებული აქვს მატერიალური უფლება და, ამდენად, საქმე ეხება უკვე არსებულ უფლებას. მეორე შემთხვევაში კი, ამ უფლების მოპოვების გარანტიას ძველი კანონი იძლევა და, ამდენად, სახეზეა სამომავლო უფლება... შეუძლებელია, ერთ შემთხვევაში კანონმდებელს ბოჭავდეს გარკვეული ინტერესები და იგივე ინტერესებით არ იბოჭებოდეს იგი მეორე შემთხვევაში. ყველა სამართლადამრღვევის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ხანდაზმულობის ის ვადა, რომელიც მისი ჩადენის დროს მოქმედებდა.“¹⁰ მოსამართლე იზიარებს იმ მიდგომას, რომ ხანდაზმულობის ვადების მატერიალურ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს და ამდენად მისი რეტროაქტიულად გამოყენება ყველა შემთხვევაში დაუშვებელი უნდა იყოს.

დამატებით იგი ხაზს უსვამს, რომ „კანონის რეტროაქტიულობა არ შეიძლება გამართლდეს სისხლის სამართლებრივი დევნის ინტერესებით, კერძოდ იმით, რომ დანაშაული, მისი

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი გადაწყვეტილების მოტივაციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაზე.

ჩადენის დროის მიუხედავად, საამისოდ მოითხოვს ერთიან ვადებს. ასეთი მიდგომის შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია და საერთოდ უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა რეტროაქტიულობის აკრძალვის ყველა შემთხვევა, ვინაიდან მათ უარსაყოფად კანონმდებელს შეიძლება დაესახელებინა გარკვეული ინტერესები... ხანდაზმულობის ვადის რეტროაქტიულად გამოყენებით, შეიძლება გზა გაეხსნას სისხლის სამართლებრივი დევნის უზომოდ გახანგრძლივებას.¹¹

ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ არის აღნიშვნის ღირსი ის გარემოება, რომ განსხვავებით საერთაშორისო დოკუმენტებისგან, საქართველოს კონსტიტუცია კანონის რეტროაქტიულად გავრცელების აკრძალვას უკავშირებს „პასუხისმგებლობის“ და არა „სასჯელის“ დაწესებას, ეს ორი კი არაიდენტური მცნებებია, რასთან დაკავშირებითაც საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაში ვრცელი მსჯელობა აქვს მიძღვნილი. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო მექანიზმების, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ვერ იქნება გამოსადეგი და რელევანტური სახელმძღვანელო საქართველოში უკუძალის აკრძალვის პრინციპის ფარგლების დასადგენად.

5. საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებაში

მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის დარგი იყოფა მატერიალურ და ფორმალურ/პროცედურულ ნაწილებად. მატერიალური სისხლის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების თუ მისგან გათავისუფლების საფუძველს, განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის ქმედითობა დამოკიდებულია მის ფორმალურ ნაწილზე, ანუ სისხლის სამართლის პროცესზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა, დანაშაულის გამოძიება და დამნაშავესთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება.

სამართლის მატერიალური ნაწილი პასუხს სცემს კითხვას: რა ნორმატიული შედეგი უნდა დადგეს კონკრეტული გარემოებების თავმოყრის შემთხვევაში, ხოლო ფორმალური/პროცედურული ნაწილი პასუხს სცემს კითხვას: როგორ, რა წესებისა და პროცედურების დაცვით უნდა მივაღწიოთ სამართლის მატერიალური ნაწილით გათვალისწინებულ ნორმატიულ შედეგებს.

ამ სამართლებრივი რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სწორედ მოხდეს იმის იდენტიფიცირება, თუ სად ექცევა ხანდაზმულობის ვადები ეროვნული კანონმდებლობით.

¹¹ იქვე

ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღება მისაქცევია სსკ-ს 71-ე და 76-ე მუხლები, რომლებიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველებს ადგენენ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. წმინდა ფორმალური თვალსაზრისით თუ შევხედავთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველები (68-71 მუხლები) სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშია მოთავსებული, რაც სისტემურ- დოგმატური თვალსაზრისით, მატერიალური სისხლის სამართლის ნაწილს წარმოადგენს.

ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დამოუკიდებელი საფუძველია, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი არის არა კონკრეტული ნორმატიული შედეგის რეალიზების მექანიზმი (როგორც ეს პროცედურულ ნორმებს ახასიათებთ) არამედ ამ ნორმატიული შედეგის (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება) დადგომის წინაპირობა. ამ ხედვის თანახმად, ხანდაზმულობის ინსტიტუტი, თავისი ბუნებით, ონტოლოგიურია სცემს პასუხს კითხვაზე - რა ? და არა- როგორ ?

სამართლებრივი “სტატუს კვოს” ცვლილება მხოლოდ მატერიალური სამართლის კატეგორიაში მოქცეული ნორმის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, რომლის ფარგლებშიც პროცესუალურ ნორმებს ერთგვარი “ტრანზიტორის” ფუნქცია აკისრიათ, ისინი განსაზღვრავენ არა იმას თუ რა სამართლებრივი სტატუსი უნდა მიენიჭოს პირს ან რა ნორმატიულ პოზიციას უნდა დაეკემდებაროს იგი, არამედ უზრუნველყოფენ გარდამავალი სამართლებრივი რეალობის ჯეროვან პროცედურებში წარმართვას. ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ახალი ნორმატიული სტატუსის- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლის წინაპირობას წარმოადგენს და არა მისი ჯეროვანი განხორციელების პროცედურის მარეგლამენტირებელ ინსტიტუტს.

სხვა ვითარებაა მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ გამოძიების ვადის დინებაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი, მიუთითებს, რომ „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.“ დანაშაულის ფაქტის შესახებ გამოძიების წარმოება, არაა დაკავშირებული პირის რაიმე მატერიალური უფლების შეზღუდვასთან და ამდენად ამ ნაწილში უკუძალის აკრძალვის საკითხი არ დგას.

რაც შეეხება სსკ-ს 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტს. აღნიშნული ნორმის თანახმად, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს: თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა“; აღნიშნული ჩანაწერი კორელაციაშია სსკ-ს 71-ე მუხლთან და სწორედ მის აღსრულებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ორი დამოუკიდებელი პროცესი:

გამომიების ჩატარება, როგორც პროცედურული სამართლის ნაწილი, რომელზეც შესაძლოა არ გავრცელდეს უკუძალის აკრძალვის პრინციპი (მითუმეტეს მისი სრული მოცულობით). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ახალი კანონით დადგენილი გახანგრძლივებული ხანდაზმულობის ვადის პირობებში შესაძლებელია გამომიების წარმართვა კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება/ მისგან გათავისუფლება- როგორც მატერიალური სამართლის ნაწილი, რომელზეც მოქმედებს უკუძალის აკრძალვის პრინციპი. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, ასევე დაარღვევს პირის მატერიალურ უფლებას, რომლის წყაროსაც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი წარმოადგენს. ამ ნაწილში კი არ აქვს მნიშვნელობა იმას, ახალი ხანდაზმულობის ვადის დაწესება მოხდა წინა ვადის გასვლის შემდეგ თუ მანამდე.

ამრიგად, ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეზე დაყრდნობით, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება წარმოადგენს მატერიალური სამართლის შემადგენელ ნაწილს, შესაბამისად მის ნებისმიერ საფუძველთან მიმართებაში უნდა მოქმედებდეს უკუძალის აკრძალვის პრინციპი. თავისმხრივ, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების დაშვება ამ შემთხვევაში გაუმართლებელი და ალოგიკურიც იქნებოდა. რამეთუ დევნის განხორციელების მიზანი სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაა. ხოლო თუ ვამბობთ იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გამო ექცევა უკუძალის აკრძალვის ფარგლებში, ასეთივე მიდგომა უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთანაც.

6. უკუძალა, როგორც სამართლის სისტემური ლოგიკიდან გადახრა

გამოჩენილი სამართლის ფილოსოფოსის ჰანს კელზენის მიერ შემუშავებული “სამართლის წმინდა თეორიის” თანახმად, სამართლის სისტემა ლოგიკური სილოგიზმია, სადაც წანამდღვრებიდან დანასკვი დედუქციური აზროვნების წესით გამომდინარეობს. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებაც ამ ლოგიკური დედუქციის სტრუქტურას წარმოაჩენს. სილოგიზმების ენაზე, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება დანასკვია, რომელიც თავისი ბუნებით მატერიალური სამართლის ნაწილია, შესაბამისად, ლოგიკურ წინააღმდეგობაში რომ არ მოვექცეთ, მისი წანამდღვარიც/წანამდღვრებიც, მატერიალური სამართლი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. პასუხს ონტოლოგიურ ნორმატიულ კითხვაზე “რა” ? ვერ მივიღებთ, თავისი არსით, ინსტრუმენტალურ კითხვაზე- “როგორ ?”- ზე პასუხის გაცემით. თუკი ვამბობთ რომ პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ინსტიტუტი მატერიალური სამართლის შემადგენელი ნაწილია, მისი საფუძველებს შემხებლობა ვერ ექნება პროცესუალურ სამართლთან, შესაბამისად, თუკი ხანდაზმულობის ვადის გასვლა პირის

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია, ლოგიკურ წინააღმდეგობაში მოვალთ თუკი მას მატერიალურ სამართალს არ მივაკუთვნებთ.

გამოჩენილი სამართლის ფილოსოფოსის, ლონ ფულერის, მოსაზრების თანახმად, სამართალს, როგორც სოციალური წესრიგის ფორმას, თავისი შიდალოგიკა/ შიდამორალობა გააჩნია. ინდივიდს, როგორც სამართლის სუბიექტს ნათელი და მყარი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სოციალური წესრიგის განმსაზღვრელი ნორმების მიმართ, რათა მოახერხოს საკუთარი მომავლის განსაზღვრა- დროსა და სივრცეში გონივრული მანევრირება.

სამართლის შიდამორალური კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს კანონის უკუმაღლის აკრძალვა წარმოადგენს: “შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრინციპი, რომელიც რეტროაქტიურ კანონმდებლობას კრძალავს, ასევე შეიძლება ადვილად ჩამოყალიბდეს მარტივ ფორმალურ წესში, რომ არცერთი ასეთი კანონის მიღება არ შეიძლება, ან თუ ოდესმე მიიღებენ, ძალა არ ექნება.”¹² “რეტროაქტიული კანონმდებლობით სარგებლობას, არა მარტო თავად არ ძალუძს ადამიანთა მოქმედების წარმართვა, არამედ აზიანებს სამომავლოდ განსაზღვრული დანაწესების სიჯანსაღეს, რამდენადაც მათ რეტროსპექტიული ცვლილების საფრთხის ქვეშ აყენებს”¹³

ხანდაზმულობის ვადების მატერიალური სისხლის სამართლის ნაწილად განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ შეხედულება სისტემურადაა გადმოცემული, სისხლის სამართლის თეორიტიკოსის Ruth A.Kok-ის მოსაზრებაში :

“მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს რომ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადები, წარმოადგენს რა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს, მატერიალური სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილია. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასჯელის მიზნების, როგორებიცაა პირის რესოციალიზაცია, სამართლიანობის აღდგენა და დანაშაულის პრევენცია, მიღწევას. მაშასადამე, როდესაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის გათვლილი ხანდაზმულობის ვადა ამოწურულია, აღარ არსებობს დამნაშავის დასჯის გონივრული საფუძველი. გამომდინარე აქედან, ხანდაზმულობის ვადები მიჩნეულია მატერიალური სამართლის ნაწილად და მათთვის რეტროაქტიულობის მინიჭება კანონიერების პრინციპის დარღვევას წარმოადგენს”¹⁴

ამ მიდგომის თანახმად, პირს აქვს უფლება იცოდეს არამხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (რა ქმედებისთვის აგებს პასუხს) არამედ ზუსტი წარმოდგენა უნდა გააჩნდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველებზეც, მათ შორის, ამ საფუძველების გამოყენებაზე დროში.

¹² Lon.I. Fuller, The Morality of Law, Yale Law school, 1964.

¹³ Lon.I. Fuller, The Morality of Law, Yale Law school, 1964

¹⁴ Ruth A. Kok, Statutory Limitations in International Law, T.M.C. Asser Press, the Hague, 2007, especially Chapter VII,

მაშასადამე, ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხანდაზმულების ვადების გავრცელება, თუნდაც არანამდვილი უკუძალით, კანონიერების პრინციპის დარღვევაა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით : “ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგება.”¹⁵

ზემოთ მითითებულ ციტატაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხანდაზმულობის ვადების ინსტიტუტს სამართლებრივი უსაფრთხოების, ურთიერთობათა განჭვრეტადობის ცნებას უკავშირებს. მისი თქმით, ხანდაზმულობის ვადების არსებობის ერთ-ერთი გამართლება არის ის, რომ ესა თუ ის უფლება ან სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, არ იყოს გაურკვეველ მდგომარეობაში. თავისთავად ხანდაზმულობის ვადის ცვლილება და შეცვლილი ვადის უკუძალით გავრცელება (იქნება ეს ნამდვილი თუ არანამდვილი) წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ ურთიერთობათა განჭვრეტადობასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არანამდვილი უკუძალა ნიშნავს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც. იმ შემთხვევაში, თუკი ხანდაზმულობას მატერიალური სამართლის ინსტიტუტად წარმოვადგენთ და გავუტოლებთ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების თუ მისგან გათავისუფლების სხვა საფუძვლებს (როგორცაა ქმედების შემადგენლობის არსებობა თუნდაც) ბუნებრივია, რომ პირს აქვს უფლება დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის მომენტისათვის გააჩნდეს ურყევი წარმოდგენა თუ რა არის მისი პასუხისმგებლობის ან ამ პასუხიმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები. ეს თავად სამართლის შიდამორალური კრიტერიუმებიდან და ფორმალური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ამ პარადიგმის თანახმად, დანაშაულის ჩადენის შემდგომ ხანდაზმულობის ვადების, როგორც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლის, შეცვლა (იქნება ეს რეტროაქტიულად თუ რეტროსპექტიულად) ნიშნავს იმას რომ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა კანონიერების პრინციპით არ არის რეგლამენტირებული, სამართლებრივი სისტემა მყიფე ბუნებას ავლენს და ხასიათდება არათანმიმდევრულობით.

7. დასკვნა

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მიდგომით უკუძალის აკრძალვის პრინციპის კონსტიტუციური დებულება ფართო შინაარსის მატარებელია და ტერმინი „პასუხისმგებლობა“, რომელთანაც დაკავშირებულია კანონის რეტროაქტიულად გავრცელების აკრძალვა, მოიაზრებს ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობას, მათ შორის კი პირობით მსჯავრის დაწესებას/შეცვლას და

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის 3/1/531 გადაწყვეტილება

ხანდაზმულობის ვადის გაზრდას. აღნიშნულისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, როგორც სიტყვისმიერი, ისე სისტემური განმარტების პირობებში არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს, არის თუ არა ამ ნორმით დაცული სფერო იმავე მასშტაბის, რაც კონსტიტუციური დებულება, თუმცა როგორც ეს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, მას აქვს ამგვარად განმარტების რესურსიც. რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის გამოყენებით, საერთო სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ სრული შესაძლებლობა და ბერკეტი (მეტიც, ვალდებულება) სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ კონსტიტუციის შესაბამისად განმარტონ და მასში მოიაზრონ რეტროაქტიულად გაზრდილი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საკითხიც.

ამავდროულად, ხაზგასასმელია ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის აკრძალვის საკითხი, რომელიც არ წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტს, არამედ არის ე.წ. „შერეული“ სკოლის მიმდევართა კომპრომისული მიდგომის გამოძახილი, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც ხშირია ხელისუფლების ცდუნება სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივებზე განახორციელოს, მაღალია ხანდაზმულობის ვადების პოლიტიკური მოტივებით გამოყენების რისკებიც. აღნიშნული ეხმიანება იმ თეორეტიკოსთან შიშებს, რომლებიც ემხრობიან ხანდაზმულობის ვადების მატერიალური სამართლის ნაწილად განხილვას. აქვე ხაზგასასმელია ის, თუ როგორ არის მოწესრიგებული ეს საკითხები სისხლის სამართლის კანონმდებლობით საქართველოში: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება (შეზამისად, მისგან გათავისუფლების საფუძვლები) მატერიალური სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელზეც ვრცელდება/უნდა გავრცელდეს უკუძალის აკრძალვის პრინციპი მისი სრული მოცულობით. ხოლო ასეთ დროს სისხლის სამართლებრივ დევნას, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას, აზრი და ლოგიკა ეცლება. სხვა შემთხვევაში ჩვენ წინააღმდეგობაში მოვალთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთლიან ლოგიკასთან და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი პრინციპის სულისკვეთებასთან.